საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში კვლევებისა და დამუშავებების გამოკვლევა

2020

01.11.2021

www.geostat.ge

01.11.2021

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში კვლევებისა და დამუშავებების გამოკვლევა

(2020 წელი)

2020 წელს, საქართველოში მეცნიერულ კვლევებს ახორციელებდა 58 დაწესებულება, რომელთა მიერ წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ჯამურმა მოცულობამ 148.2 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 5.7 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

კვლევებსა და დამუშავებებზე დასაქმებულთა რიცხოვნობა 6.2 პროცენტით გაიზარდა და 14 589 შეადგინა, რომელთაგან 11 859 ერთეულს წარმოადგენდნენ მკვლევარები. მკვლევარების 53.4 პროცენტი ქალია, ხოლო 46.6 პროცენტი კაცი.

მკვლევართა 67.4 პროცენტი არის დოქტორი ან მასთან გათანაბრებული განათლებით, 30.3 პროცენტი - მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული განათლებით, 2.2 პროცენტი ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული განათლებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მკვლევარების განაწილება განათლების დონისა და სქესის მიხედვით.

დიაგრამა №1

მკვლევარების განაწილება განათლების დონის და სქესის მიხედვით

(%)



რაც შეეხება მკვლევარების განაწილებას ასაკის მიხედვით, ქალებში, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის 45-54 წლის ასაკობრივ ჯგუფზე (22.5%), ხოლო მამაკაცებში - 65 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფზე (31.9%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მკვლევარების განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით.

დიაგრამა №2

მკვლევარების განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით

(%)



მკვლევარების ყველაზე დიდი ნაწილი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით მუშაობენ, რომელთა საერთო რიცხოვნობა 2 769 ერთეულს შეადგენს (23.3%). ხოლო ყველაზე მცირე ნაწილი სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარიის მიმართულებაზე მოდის, სადაც 474 პირია დასაქმებული.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მკვლევარების განაწილება სამეცნიერო სფეროების მიხედვით.

დიაგრამა №3

მკვლევარების განაწილება სამეცნიერო სფეროების მიხედვით



მონაცემთა წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge